



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება



KA000073556791919

ქ. ლაგოდეხი

№ 7-ს

10 / აპრილი / 2019 წ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ოფიციალური მიღებების და შეხვედრებისას, სადილით ან/და სასტუმროს მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 28 დეკემბრის №78 დადგენილების“ შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. გამოიყოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, „ოფიციალური მიღებების და შეხვედრებისას, სადილით ან/და სასტუმროს მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებიდან“ 600 (ექვსასი) ლარი, რომელიც გამოყენებული იქნება საქართველოს პარლამენტის წევრების სადილით მომსახურებისათვის.


საფუძველი: „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ოფიციალური მიღებების და შეხვედრებისას, სადილით ან/და სასტუმროს მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯების განსაზღვრაზე პასუხისმგებელი პირის - გიორგი მესხიშვილის 2019 წლის 10 აპრილის №56-შ მოხსენებითი ბარათი.

2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს დაევალოს, ბრძანების ფინანსური ნაწილის კონტროლი, წარმოდგენილი საანგარიშსწორებო დოკუმენტის ფარგლებში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამდასმულია 
ელექტრონულად

კარლო ჯამბურია